ვინც ალლაჰის გზაზე ერთი დღე იმარხულებს, ალლაჰი მის სახეს ჯოჯოხეთისგან სამოცდაათი წლის (ხარიფ) მანძილით დააშორებს

გადმოცემულია აბუ საიდ ალ-ხუდრისგან (ალლაჰის იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა: გავიგონე, თუ როგორ ამბობდა ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ვინც ალლაჰის გზაზე ერთი დღე იმარხულებს, ალლაჰი მის სახეს ჯოჯოხეთისგან სამოცდაათი წლის (ხარიფ) მანძილით დააშორებს».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა, რომ ვინც იმარხებს ერთი დღე ჯიჰადში, ასევე ითქვა: სხვა დროსაც, გულწრფელად ალლაჰის გულისთვის, ალლაჰისგან მადლისა და საზღაურის ლოდინით; ჭეშმარიტად ალლაჰი თავისი წყალობით დააშორებს მის სახეს ცეცხლისგან სამოცდაათი წლის მანძილზე.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/4436